# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 608 2024 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

## საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპეტენტური ორგანოს განსაზღვრის, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[19]“ ქვეპუნქტის, 43[2] მუხლის მე-2 ნაწილისა და „საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების და საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მაისის №266 დადგენილებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობების და საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის განსაზღვრის წესის“ (შემდგომში – წესი) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში – კომპეტენტური ორგანო).

2. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის $43^2$ მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2028 წლის ჩათვლით საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, კომპეტენტურმა ორგანომ სს „საქართველოს რკინიგზასთან“ (შემდგომში – სარკინიგზო ოპერატორი) 2024 წლის 15 ივნისამდე გააფორმოს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება პირდაპირი მინიჭების გზით, ამისათვის განსაზღვროს საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულება და აწარმოოს მოლაპარაკებები სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფისათვის. სატრანსპორტო მიმართულებები, რომლებზეც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურება, შესაძლებელია, განახლდეს საჭიროებისამებრ, საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანის გზით.

3. საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. საზოგადოებრივი მომსახურების კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულისთვის გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად, რაც აისახება საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების/დამატების შეტანის გზით.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინონ ამ განკარგულების შესრულების მიზნით საჭირო ფინანსური სახსრები.

5. კომპეტენტურმა ორგანომ უზრუნველყოს სარკინიგზო ოპერატორთან გაფორმებული საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობა.

6. წესის მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი;

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი.

7. დამტკიცდეს თანდართული „საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის დებულება“.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2024 წლის 24 აპრილის
№ 604 განკარგულებით

# საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის დებულება“ (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს.

2. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

## მუხლი 2. კომისიის მიზანი

კომისიის მიზანია საზოგადოებრივი სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების ხარისხიანად და ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება

დასახული მიზნების მისაღწევად კომისია უფლებამოსილია:

ა) შეითანხმოს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები;

ბ) განსაზღვროს სატრანსპორტო მიმართულებები საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში სარკინიგზო სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების უზრუნველყოფისათვის;

გ) განახორციელოს საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობა და მონიტორინგი;

დ) განიხილოს კომპეტენტური ორგანოს მიერ საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი ანგარიში და წინადადებები;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და სხვა დაწესებულებებიდან გამოითხოვოს კომისიის საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია;

ვ) საჭიროებისამებრ, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა პირები მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მიზნით;

ზ) შესაბამისი რეკომენდაციები მისცეს კომპეტენტურ ორგანოსა და სარკინიგზო ოპერატორს საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების განხორციელებასთან დაკავშირებით;

თ) განახორციელოს ამ დებულებიდან გამომდინარე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციები, რომლებიც ემსახურება კომისიის საქმიანობის ძირითად მიზანს.

**მუხლი 4. კომისიის ფუნქციონირების ზოგადი წესები**

1. კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისია იკრიბება კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით ან კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმების საფუძველზე.

3. კომისიის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარეს ან კომპეტენტურ ორგანოს.

4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

5. კომისიის წევრებისათვის კომისიის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა.

6. კომისიის სხდომა შესაძლებელია, ჩატარდეს ფიზიკურ, ელექტრონულ ან ჰიბრიდულ (ცალკეული წევრის ელექტრონულ ფორმატში დასწრებით) ფორმატში.

7. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის სამდივნოს წარდგინებით, ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს.

8. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განსახილველი საკითხის ინიციატორს მიმართოს ინფორმაციის დაზუსტების ან დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენისათვის.

9. კომისიის საოქმო ჩანაწერები ეგზავნებათ კომისიის წევრებსა და სხვა მოწვეულ პირებს სხდომის ოქმიდან ამონაწერის სახით.

10. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის დამსწრე წევრები.

**მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა**

1. კომისიამ გადაწყვეტილებები შესაძლებელია, მიიღოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად.

2. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3. გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

**მუხლი 6. კომისიის სამდივნო**

1. კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო.

2. კომისიის სამდივნოს უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო.

3. კომისიის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის შეგროვება, საკითხების დაზუსტება და შესაბამის დაწესებულებებთან პირველადი კომუნიკაცია;

ბ) კომისიის სხდომების ორგანიზება და კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების კონტროლი;

გ) კომისიის დავალებათა შესრულების მიზნით, კომისიის წევრთა შორის ინფორმაციის გაცვლა და, საჭიროების შემთხვევაში, კომისიის სხდომის მოსამზადებელ სამუშაოთა კოორდინაცია;

დ) კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდაჭერა საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადების გზით;

ე) კომისიის სხდომის ოქმისა და კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი დავალებების გაფორმება და ხელმოსაწერად მომზადება;

ვ) ყველა სხვა სახის სამუშაოს შესრულება, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური კუთხით კომისიის გამართულ ფუნქციონირებასთან.